

# თავისუფალი საქართველო

№ 16  
 4-17 აგვისტო  
 1995 წ.  
 ფასი 1000 რუბლის შესაბამისი კუპონი  
 0562631 66421  
 სარეგისტრაციო მოწმობის № 0441

WEEKLY NEWSPAPER TAVISUPALI SAKARTVELO (FREE GEORGIA)

## ძირს რეპრეზენტები!

აცხადებს ოპოზიცია, რომელსაც არ სურს შევარდნადის კონსტიტუცია მასში ჩადებული პრეზიდენტობის ინსტიტუტისა და საქართველოს ფედერალური მოწყობის პრინციპის გამო, მაგრამ სასიცოცხლოდ დაინტერესებულია საპარლამენტო არჩევნების ჩატარებით.

თავის მთავარ არგუმენტად ოპოზიცია აყენებს თეზისს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის პრობლემაში, როდესაც საქართველოს იურიდიული ფაქტობრივად არ ვრცელდება აფხაზეთსა და სამხაბლოზე, რეფერენდუმის ჩატარება დარღვევს ტერიტორიაზე ნიშნავს ამ მდგომარეობის დაკანონებას, რაც მომავალში, შესაძლოა, საერთაშორისო დონეზეც მყარ სამართლებრივ არგუმენტად იქნეს მიჩნეული.

მოტივი სარწმუნოა, მაგრამ სრულიად გაურკვეველია, რატომ არ ვრცელდება იგივე მოსაზრება საპარლამენტო არჩევნებზეც. არსებითად, ნებისმიერი არჩევნებიც, იქნება ეს საპრეზიდენტო, საპარლამენტო, თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა, ისეთივე საერთო სახალხო პლემბისცია, როგორც რეფერენდუმში, რომელიც აფიქსირებს გარკვეული ქვეყნის მოქალაქეთა აზრს. განსხვავებულია მხოლოდ გამოკითხვის ფორმა და ფუნქცია.

მაგალითად, დასავლეთის პრესაში, ჩვენთვის პრობლემების განხილვისას, რიგი სამართალმცოდნეები უკვე თამამად გამოთქამენ აზრს ჩვენთვის დამოუკიდებლობის სამართლებრივი საფუძვლების შეუვალობის შესახებ და ამის ერთ-ერთ ძირითად არგუმენტად, ჩვენთვის ისტორიის თანამედროვე ეტაპის განხილვისას, მიიჩნევენ იმ ფაქტს, რომ ჩვენთვის მოსახლეობამ არ მიიღო მონაწილეობა რუსეთის პრეზიდენტის, სახელმწიფო დუმისა და ფედერალური ორგანოების არჩევნებში.

ჩვენ შორს ვართ იმ აზრისგან, რომ გავაიგიოთ ჩვენთვისა და აფხაზეთის პრობლემები, რასაც გულმოდგინედ ცდილობენ საქართველოს მმართველი წრეები: ერთი - რუსეთის მიერ მრავალჯერ დაპყრობილი ქვეყანაა, რომელსაც გააჩნია ყველა სამართლებრივი და მორალური უფლება კონდეს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობა; მეორე - ახიმილირებულ ქართველთა და შემოხიზნულ ტომთა ადრევისა და რუსიფიკაციის შედეგად წარმოქმნილი სოციალური კასტა, რომელიც პრეტენზიას აცხადებს საქართველოს ისტორიულ ტერიტორიასა და კულტურაზე.

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სამართლის ენაზე ორივე პრობლემა, შესაძლოა, ერთნაირად გადაიჭრას. საქართველოს ამჟამინდელმა მმართველობამ ისედაც ძალზე ბევრი გააკეთა, რათა აფხაზეთის საკითხში ქართული მხარე სამართლებრივად და ფაქტობრივადც წამყვანი მდგომარეობაში აღმოჩენილიყო. ეს ეხება როგორც თავად ომის დაწყებას, ისე მის წარმართვას და მის პარალელურად სრულიად კაპიტულანტური პოლიტიკის გატარებასა და დიპლომატიური შეთანხმებების ხელმოწერას.

შედეგი სახეზეა და ახლა მხოლოდ ბოლო წერტილია დასასმელი - ფაქტობრივი შედეგი სამართლებრივად უნდა დაკანონდეს. ნებისთი თუ უნებლიეთ, უჭკუობით თუ ანგარებით, ოპოზიცია ამაში ეხმარება მმართველ რეჟიმს, რაკი არ სურს გაიანზროს და აღიაროს თავად ამ რეჟიმის დაკანონების პირდაპირი საშინოება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის; არ სურს აღიაროს, რომ თავად არჩევნების ფაქტი ნიშნავს ქვეყნის დამოუკიდებელი რეალობის სამართლებრივ ფიქსაციას, ხოლო არჩევნებში მონაწილეობა - ამ დანაშაულში თანამონაწილეობას.

რათღენ არააპოუფარულადაც არ უნდა ეფერდეს ეს მოწოდება - საქართველო სამართლებრივად უნდა დაბრუნდეს უკან, იმ დროში, როდესაც ქვეყანას მართავდა მის მთელ ტერიტორიაზე არჩეული ხელისუფლება; უნდა აღდგეს სტატუს-კვო და ამ საფუძველზე მოხდეს რეალური სიტუაციის მოგვარება.

ქვეყნის ტკივილით არ სტკივა გული, დაპვიწყებია, რომ ქვეყნად ცასა ღვთად მოუცია მართო მამული; დაპვიწყებია, რომ დიდი არი ღვთისა წინაშე იგი ცხოვრება, რომელიც ქვეყნის წვითა დამწვარი ქვეყანასავე შეეწირება.

"აჩრდილი"



## ოპოზიცია რეკლამას უკეთებს შევარდნას

უკანასკნელ პერიოდში სახელგატყილ პოლიტიკოსთა მხრიდან შევარდნადის წინააღმდეგ გალაშქრება უკუშემატს ქმნის

სამწუხაროდ, თავად ოპოზიციის ეს ოდიოზური წარმომადგენლები, რომელთაც, სხვა დიდ ცოდებთან ერთად, მოქმედი კანონმდებლობის წინაშეც შესცოდეს, ვერ ხედებიან, რომ მათ მიერ შევარდნადის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, უკეთეს შემთხვევაში, დიმიდს გამოიწვევს შინ თუ გარეთ. შევარდნადისთვის მთავარია, რომ გარეთ დარწმუნდნენ მას დაპირისპირებული ძალების კომპიურ უსუსურობაში.

თუმცა ირაკლი წერეთლის, თემურ ჟორჯიანიისა და ვახტანგ ბეგაშვილის მიერ შევარდნადის მიმართ ჩამოყალიბებული ბრალდებები, გამომდინარე კანონიდან ხელისუფლების შესახებ, ერთის შეხედვით, სამართლებრივად გამოიყურება (სხვა საკითხია, რომ თავად ეს კანონი სრულიად უკანონო გზითაა მიღებული უკანონოდ არჩეული პარლამენტის მიერ), მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ

სამივე მოლაშქრის ბედი ნიშნავს დადებული (სამივე მიეკუთვნება გასწორად გაზადებული ვაცების რიცხვს), ოპოზიციური ტრიადის იერიში ყოველგვარ ეფექტს კარგავს.

კიდევ უფრო საგულისხმოა ჯაბა იოსელიანის ომხიანი განცხადება იმის თაობაზე, რომ შევარდნაზე დანაშაუვა და მას ციხე ელის. მსგავსი წარსულისა და საქმიანობის ადამიანისგან ასეთი ბრალდება შევარდნადის მისამართით თითქმის კომპლიმენტად ეღერს. მით უფრო მაშინ, როცა დასავლეთის გავლენიანმა წრეებმა ცალსახად მოსთხოვეს "ქართული დემოკრატიის მამას" ჩამოიშოროს ოდიოზური რეპუტაციის მქონე მეგობარი.

ცხადია, ახლა უკვე სათვალავში აღარ არის არც ის, რომ შევარდნაზე სწორედ იოსელიანის მიერ იქნა მოწვეული საქართველოში; რომ ისინი ერთად ხედებოდნენ ბეიკერსა და გენშერს, ერთად წვეტდნენ მსოფლიო მნიშვნელობის პრობლემებს; რომ იოსელიანი, როგორც "დიდი დიპლომატის" რჩეული შეგირდი, საქართველოსთვის სასიცოცხლო მოლაპარაკებებს აწარმოებდა სოჭსა თუ ვენეც-

აში, სადაც ქართველ განგსტერს გულითადად ეგებებოდნენ ცივილიზებული სამყაროს ბაფთიანი განგსტერები.

დღეს ამის გასწენება აღარავის აწყობს. ხოლო კუთხეში მოქცეული ჯაბა იოსელიანი, ნებისთი თუ უნებლიეთ, მოძრაობს მისთვის წინაწინ გაკვალული ტრაექტორიით და, ვინ იცის, იქნებ ახალ კატაკლიზმებსაც კი უშაადებს თავის გუშინდელ მეგობრებსაც და მუდმივ მტრებსაც.

ხედება თუ არა ამას თვითონ, ძნელი სათქმელია. საერთოდ, ხედებიან თუ არა მართონებები, რას სჩადიან უხილავი ხელის ნებით? ნათელია მხოლოდ, რომ მათ როლები აერიათ - თავისი თავი წარმოიდგინეს იმ ზნობრივ ინსტანციად, რომლის მიერ კვშმართების ქადაგება არასოდეს უფასურდება.

ყველაფერი, რასაც ისინი ამბობენ დღეს - უკვე ითქვა სხვის მიერ გუშინ, როდესაც ჯერ კიდევ შეიძლებოდა ქვეყნისა და საკუთარი თავის შევლა.

ასე რომ, მათ დაიგვიანეს!

რომანოზ საგინაშვილი

# საქართველო

ფხაზეთის პრობლემა მიმდევრულად აწევს არსებულ ხელისუფლებას და არჩევნების მთავრობასთან ერთად მისი სიმძიმე უფრო და უფრო იზრდება. ამავე დროს, უფრო და უფრო არაა არა თუ არ გარკვეულად, არამედ კიდევ უფრო ბუნდოვანი გახდა. ერთი მხრივ, ივნისის ბოლოდან ი-

თან. დაპირებების მიცემას არც რუსეთის სამხედრო ძალების სარდალი იაკუშვილი იშურებდა, თანაც წაღწევის გზაზე დაგებული ლენინის სომხური ბატალიონის მიერ რაიონში ჩატარებული ექვემდებარების ფონზე. ცხადია, რუსეთის უკან დახევის მრავ-

თვის გამოცხადებული ემბარგოს დარღვევაში. და ეს მაშინ, როდესაც პროაფხაზეთი წრეები რუსეთში დღენიადაგ გააქვირდნენ, რუსეთის სახელმწიფო უწყებებთან, რუსეთის სახელმწიფო უწყებებთან და ჩვენი აფხაზი მეგობრები შიშხიშხიან იხილებიანო.

## ხელისუფლების წინასწარჩევი სტრატეგია

### - აფხაზეთის დაბრუნების ილუზიები

ლისის ბოლომდე პარლამენტის შესასვლელთან მიმდინარე ლტოლვილთა აქციამ საერთოდ გააუფასურა აფხაზეთის საკითხის მიმართ ამგვარი პროტესტის გამოხატვის ფორმა: კომიკურობამდე უაზრო პლაკატებით შეიარაღებულ 50-100 ადამიანს ევალებოდა ლტოლვილთა 250 ათასიანი არმიის წარმოსახვა - განსახიერება, რაც, საფიქრალადა, სიცილიად არ ეყოფოდათ სოსუშიც და მოსკოვშიც.

ვალე მექანიზმი გააჩნია და რაც არ უნდა განაცხადოს ქართული პურ-მარილი პარტიკულარული შუქიკომ აქ - იქ, მოსკოვში ყოველთვის მოიძებნება არათუ

აფხაზეთის კოზირი კვლავ აქტიურად თამაშდება სხვადასხვა მხარის მიერ სხვადასხვა მიზნით: ერთი ცდილობს ლტოლვილთა მორჩილი მასის მომხრობას

## მამუკა ტუსიშვილი

სიტყვიერი დაპირებების, არამედ წერილობითი შეთანხმებების გამაჩვიებელი მექანიზმი.

ამავე დროს, გააქტიურდნენ აფხაზეთის დეინდი სახელისუფლებო სტრუქტურები, რომლებიც, ერთი მხრივ, ერთმანეთში ვერ რიგდებიან, მეორეს მხრივ კი, შესაშური სითამაშით ახსენებენ ხელისუფლების პოლიტიკას აფხაზეთის მიმართ. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ აფხაზეთის უზენაესი საბჭოს სესიასზე 19 ივლისს საქართველოს ხელისუფალთა ბრალი დასდეს აფხაზ სეპარატისტების-

აფხაზეთში, თუნდაც გადის რაიონში, დაბრუნების ილუზიებით; მეორე, დისკრედიტირებული ხელისუფლების წინააღმდეგ პერიოდული გალაშქრებით ქულებს იგროვებენ უკმაყოფილოთა შორის.

ერთნიც და მეორენიც, არსებითად ატყუებენ ხალხს და მათი რეალური მიზანია - მართვის ბერკეტებისა და გავლენის სფეროების შენარჩუნება არჩევნების შემდგომაც, მმართველ კლანში დაჩენა და ქონების განაწილების საკუთარი წილის მიღება.

მეორეს მხრივ, რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარის ვლადიმერ შუმიკოს მიერ თბილისში ვიზიტის დროს გაკეთებული განცხადებები - "არძინა ისეთივე დამნაშავეა, როგორც ღუდაგეი" და "ჩვენი სამხედრო ბაზები მთელ მსოფლიოს აუწყებს, რომ მათ ამ ნაკვეთზე არაფერი ესაქმებათ" - აშკარად ისახავდა მიზნად, აფხაზეთის საკითხი მილიანად და საბოლოოდ იქნეს გათავისუფლებული რუსეთის ხელისუფალთა ნება-სურველ-

## შეათხვეპით არაფერი ხდება

საქართველოში შექმნილი მდგომარეობა ერთი შეხედვითა ჩანს ქაოსური, თორემ სინამდვილეში, ამ ქაოსის ძაფები გასაოცარი კანონზომიერებით არიან გადაწურულ-გადახლართულნი და ქვეყნის სრული გაპარტახების, ნგრევის სურათს ქმნიან.

ამ აბაღაზურად თავისი მქსოველი ჰყავს. მან იცის თავისი საქმე და საკვირველი ოსტატობითაც ქსოვს იმ ბადეს, რომელშიც უკვე მეთხევ წელია უშწოდებელი ფართხალებს მთელი საქართველო. დიას, ჩვენთან შემთხვევით თითქმის აღარაფერი ხდება.

დღეს, როდესაც ჩვენი რეფორმატორი მთავრობა ახალ-ახალ ნაბიჯებს დგამს ქვეყნის "ეკონომიკური აღმავლობის გზაზე" და ღამის სახრის ცვლით მიერეკება დამშუულ, გაუბედურებულ მოსახლეობასაც სახელმწიფოს მეთაურის მიერ მონიშნული "საყოველთაო კეთილდღეობისკენ", თითქმის გაკვირვებას აღარც უნდა იწვევდეს არანაირი მოულოდნელობა, არანაირი შეუსაბამობა ფასებში, არანაირი სიძვირე...

და მაინც, ძალიან გაგვაოცა ერთმა ფაქტმა: თბილისიდან ყაზბეგამდე ავტობუსით მგზავრობის დირექტორმა 60 ათას რუსულ რუბლს შეადგენს. ეს შემთხვევითობა არ უნდა იყოს. მოგეხსენებათ, ყაზბეგის რაიონი კავკასიონის ქედს გადაღმა მდებარეობს. ამდენად, გეოგრაფიულად იგი ისედაც მოწყვეტილია დანარჩენ საქარ-

თველოს. ახლა კი, თბილისი-ყაზბეგის ავტობუსზე ასეთი ძალიან ფასის დაწესებით, ფაქტობრივად, ეკრძალებათ დედა-ძალაქში ჩამოსვლა: 60 ათას რუსულ რუბლს თუ ბასილიას მიერ გამაგრებულ კუპონზე გადაიყვანო, ვნახავთ, რომ ეს თანხა ადამიანის ექვსი თვის ხელფასს შეადგენს. ე.ი. თბილისში ჩამოსასვლელად კაცს ნახევარი წლის მუშაობა სჭირდება, ხოლო თუ უკან დაბრუნებაც მოინდობს, მაშინ კეთილი უნდა ინებოს და მიეღი წელი იშრომოს ხელუბრადად გასწავლამ (ეს მარტო მგზავრობა, თორემ თუ სხვა მოთხოვნებზეც გაუწინდა, ერთი კი არა, მთელი სიცოცხლეც არ ეყოფა).

ჰოდა, ჩვენი მოხვედრებიც იძულებულნი არიან თბილისის ნაცვლად ოსების დედაქალაქ ვლადიკავკასის მიაშრონ საჭიროების შემთხვევაში. იქით ყველაფერი გათიხვებულია და იაფიც არის, ხოლო მათი კავშირი თბილისთან თანდათან წვედება.

აი ასე, შვიდობიანი გზით, უმჯობროდ ახერხებს დღევანდელი ხელისუფლება საქართველოსთვის კიდევ ერთი კუთხის ჩამოშორებას. ყველაფერი ხომ გაუცხოებით იწყება. ხელისუფლება, რომელმაც, უკვე კარგა ხანია, ხელი წაიჭია ჩვენი ქვეყნის მიწებს და მას საკუთარი ქონებასავით უშურველად არიგებს, რასაკვირველია, დეჰუმანი უკლის გეერდს ამგვარ ფაქტს.

არადა, ხევი საქართველოს ჩრდილოეთი კარიბჭეა, მოხვედრები ოდითავე საქართველოს მეციხოვნეებად ითვლებოდნენ. ამიტომაც იყო, რომ ამ კუთხის სიმტკიცისა და ძლიერებისთვის განსაკუთრებით ზრუნავდნენ ჩვენი მეფეები.

ახლა კი, "გამჭირაბ და შორსმჭვრეტელ" ხელისუფალთა წყალობით, საქართველო ღობემონგრეულ ეზოს დამსგავსება. ქართველი რაღა საჭიროა, ჩრდილოეთით საზღვარს ხომ რუსი ჯარისკაცები იცავენ... ჩეჩენი ბოვიკებისაგან.

ლ. ბ.

თბილისში 13 ივლისს გამართულ პრესკონფერენციაზე ვლ. შუმიკომ განაცხადა: "საქართველოში ჩვენი სამხედრო ბაზების დატოვებით გაფრთხილებით მთელ მსოფლიოს, რომ აქ ვეხი არაფერ უნდა შემოვიდეს".

მიუხედავად ამგვარი შოკინისტური გამოთქმებისა, ქართველ პარლამენტართა ერთი ნაწილი აღფრთოვანებული დარჩა რუსი სტუმრის პიროვნებით, მისი "კეთილი ნებით", საქართველოსადმი "განსაკუთრებული სიბოძის" გამოხატულებით, კიდევ იმით, რომ შუმიკომ "მაგარ-მაგარი" გამოთქმები არ დაიშურა არძინას მიმართ. ბევრს ამ ვიზიტმა აფხაზეთში დაბრუნების იმედიც გაუჩინა. ეს ნეტარი მორწმუნე იმდენად აღტაცებული ჩანს "მაღალი სტუმრის" დაპირებებითა და არძინას მისამართით ავტორიტეტული თვალების ბრალით, რომ ანგარიშს აღარც უწყვენ ჩრდილოეთი "შეგობრის" ამ არცთუ ისე უწყინარ გაფრთხილებას, რომელიც საქართველოსკენ გამოხედვას უკრძალავს მტერ-მოყვარეს.

მ. გიგინეიშვილის თქმით, შუმიკოს ვიზიტში ყველაზე მთავარი ის ყოფილა, რომ მას ვლ. არძინა დედაციხისთვის შეუდგარი და უთქვამს, ორივენი დამნაშავენი არიან.

მოკლედ, აფხაზეთის დაბრუნებისთვის მთავარი ნაბიჯი გადადგმულია: არძინა დედაციხიდან გაიყვანეს, ორივენი კი დაინაშავებად არიან გამოცხადებულნი.

მართალია, სასამართლოში საკუთარი ფეხით მოსული და ბორკილებდადებული არძინა ჯერ არ ჩანს და ათდღიანი შეხვედრის შემდეგ ჩვენი მორჩილი და დამჯერე ლტოლვილებიც ისევ "იმელის" კიბეებზე მივიცხვებიან თაკარა მხეს, ნაცვლად სოხუმისა და გაგრის თვალწარმტაცი სანახებისა, მაგრამ ეგრე სათქმელა იმ იმედთან, მ. გიგინეიშვილისა და რ. ბერიძისთვის რომ აღუბრუნეს გულში შუმიკოს "კეთილგანწყობას" საქართველოს მიმართ.

ისე, საოცარია, ზოგიერთი პოლიტიკოსის "მიღმური" ხედვის უნარით, როცა კაცი ასე ღიად გუგუნება, ჩემს პროვინცია ხარ, რასაც მინდა იმას გაზამ, როგორც მინდა ისე მოგეცევი და შენ მაინც აღმოჩენ მასში "უდიდეს სიბოძის" და სიმბაობას "შენი ქვეყნის" მიმართ, უთუოდ განსაკუთრებული ნიჭით დავუდღოთ ადამიანი ხარ (თუმცა, ზოგიერთი "არამკითხე" და "გონებადამწებელი" ამ ნიჭს სიმტკიცეს უსწრდისოდა და უტოვრობას უწოდებს). მაგა გინეიშვილი და რ. ბერიძე უთუოდ ამგვარი უნარის მფლობელი პოლიტიკოსები არიან. ეს გასაცხადებელი, დაბუნებული და არაერთხელ მოტყუებული ლტოლვილები კი სულ უფრო და უფრო ემსგავსებიან სეთურის მონებს, რომელთათვისაც ჭაში ჩამჯდარი პატარა კაცუნები "იმედს აკეთებენ".

ღ. გიგინეიშვილი

## მსხვერპლი ჩვენეთში დაგვიპილი იყო

რუსეთის სამართალდამცავები მოითხოვენ ჩეჩენეთში ომის გამწვანებელთა საერთაშორისო ტრიბუნალით გასამართლებას

მოსკოვში, 15 ივლისს შერნაღისტო ცენტრალურ სახლში ჩეჩენეთის ომთან დაკავშირებით საერთაშორისო ტრიბუნალის მოწოდების ორგანიზატორმა მოაწყო მრგვალი მაგიდა, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ სერგეი გრიგორანცი, ელენე ბონერი, სტანისლავ ჩერნიჩენკო, ალექსანდრე კირიხინი, ვალერი ბორშჩევი, ნაუმი ნიმი და სხვები.

პროგრამის გათვალისწინებული სამი სხდომის შემდეგ გაიმართა საერთო დისკუსია პრესონალური პასუხისმგებლობის პრობლემაზე. ჩეჩენეთის მოვლენების ამსახველი ფილმის (რეჟისორი ზეინაბ გაშაევა) დემონსტრირებას მოჰყვა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ სახელმწიფო დუმისა და ფედერაციის საბჭოს დეპუტატები, ცნობილთა ოურისტები და ჩეჩენეთში მომუშავე შერნაღისტები.

საერთაშორისო ტრიბუნალის მოწოდების ორგანიზატორმა მრგვალი მაგიდის მონაწილეებს შესთავაზა იმ კითხვების ჩამოყალიბება, რომლებზეც პასუხის მიღება აუცილებელია ჩეჩენეთის მოვლენების მათქმული შეფასებისთვის. ამ კითხვების საფუძველზე ორგანიზატორმა დაამუშავებს დოკუმენტებს და დაუზავნებს ადრესატებს, მათ შორის: რუსეთის პრეზიდენტს, მთავრობის მეთაურსა და თავდაცვის მინისტრს.

ორგანიზატორების მიერ შემუშავებულ პრაქტიკულ წინადადებათა ოქმში ნათქვამია:

"3 იანვარს რუსეთის მთავრობის პრესკონფერენციაზე გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ რუსეთის ჯარების დანაკარგი ჩეჩენეთში გეგმით გათვალისწინებულზე ნაკლებია.

საინტერესოა: 1) რა პეივა დოკუმენტს, რომელშიც განსაზღვრულია რუსეთის ჯარების დანაკარგი ჩეჩენეთში და რომლის საფუძველზეც მთავრობის პრესკონფერენციაზე გააკეთა ეს განცხადება? 2) ვინ შეადგინა და ვინ მიიღო ეს დოკუმენტი? 3) რუსეთის ჯარების კერძოდ რა დანაკარგები იყო დაგეგმილი ამ დოკუმენტში? 4) იყო თუ არა ამ დოკუმენტში დაგეგმილი მოსახლეობის დანაკარგები და კერძოდ რა რაოდენობით?"

გარდა ამისა, 1995 წლის 20 იანვარს დაფუძნდა საზოგადოებრივი გამოძიების კომისია, რომელიც მიზნად ისახავს საკითხის დასმას ქვეყნის მაღალი თანამდებობის პირთა მიერ ჩეჩენეთში განხორციელებულ სამხედრო აქციის შედეგად დატრიალებულ ბოროტებათა ორგანიზატორებისა და ხელმძღვანელების პრესონალური პასუხისმგებლობის შესახებ. ამ მომენტისთვის კომისიამ ძირითადად დაასრულა საინფორმაციო ბაზის შექმნა ჩეჩენეთის ომის ყველა ასპექტის მონაცემებით. საზოგადოებრივი გამოძიების კომისიის განცხადებაში ნათქვამია, რომ "ჩეჩენეთში განხორციელებულმა გაუგონარმა ბოროტებამ შეიწირა ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე, ირვევა მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლება." (...)

"ამრიგად, ჩვენს თვალწინ და ჩვენივე მონაწილეობით ხდება კონსტიტუციის ძირითადი პრინციპების ხელყოფა; სამართლებრივი სახელმწიფოს ნაცვლად მკვიდრდება ავტორიტარული რეჟიმი, რომელიც თავისი პოლიტიკის სამსახურში აყენებს სამართლის პრინციპებს."

საზოგადოებრივი გამოძიების კომისიის საინიციატივო ჯგუფმა მიმართა რუსეთისა და მსოფლიოს სამართალდამცავ ორგანიზაციებს, ოურისტებს და საზოგადო მოღვაწეებს, დაეხმარონ ჩეჩენეთში ომის გამწვანებელთა საერთაშორისო ტრიბუნალით გასამართლების ორგანიზებასა და ჩატარებაში. თავის მხრივ, კომისია ვალდებულია იღებს წარუდგინოს ტრიბუნალს მის ხელთ არსებული ყველა მასალა და საინფორმაციო სისტემის მიერ მოპოვებული მონაცემები.

## საქართველოს ჰელსინკის კავშირის პოლიტსაგჭოსა და რესპუბლიკური გაგებობის განხილვა

1995 წლის 21 ივლისს ეროვნულ სათათბიროში (საზოგადოება "ცოდნის" დარბაზი) მოვიდნენ ჯაბა იოსელიანი და ქვეყნის მთავრობის ორგანიზაციების - "შეხვედრონისა" და "არჩევნების" - წარმომადგენლები, რომლებმაც შესთავაზეს სათათბიროში შემაჯავალ პოლიტიკურ ძალებს ეროვნულ ყრილობაში მონაწილეობა.

იების წარმომადგენლები. სათათბიროს სხდომის დახურვის შემდეგ მოსულმა წარმომადგენლებმა, რომლებსაც შეუერთდა პირადად ჯაბა იოსელიანიც, დარბაზში გამართეს შეხვედრა სათათბიროში შემაჯავალ რამდენიმე ორგანიზაციის წარმომადგენლებთან.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის პოლიტსაგჭო და რესპუბლიკური გაგებობა კატეგორიულად აცხადებს, რომ საქართველოს ჰელსინკის კავშირისთვის მიუღებელია ნებისმიერი სახის თანამშრომლობა "შეხვედრონთან" და მის ბაზაზე შექმნილ ნებისმიერ ორგანიზაციასთან.

საქართველოს ჰელსინკის კავშირის წინააღმდეგაა საზოგადოება "არჩევნების" მიერ წამოყენებული წინადადებასა ეროვნულ ყრილობაში მონაწილეობის შესახებ.

საქართველოს ჰელსინკის კავშირი წინააღმდეგაა საზოგადოება "არჩევნების" მიერ წამოყენებული წინადადებასა ეროვნულ ყრილობაში მონაწილეობის შესახებ.

ამასთან, გვსურს შევასხუროთ გულმავიწყ მმართველ რეჟიმსა და მის პროაფანდისტულ საშუალებებს, რომ სწორედ საქართველოს პირველი პრეზიდენტი, საქართველოს ჰელსინკის კავშირის დამარცხებელი და მისი მუდმივი თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია იყო პირველი, ვინც ამხილა "შეხვედრონი". ამდენად, მმართველი რეჟიმის მცდელობა გააიგივოს ეროვნული მოძრაობა "შეხვედრონიან" მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

1995 წლის 26 ივლისი



# ეპისტი ინთარნიულ სიკვდილი დაჯის წინააღმდეგ

**საქართველო - კირველი  
საპოტა რესპუბლიკა,  
რომელიც მოქმედებს ამ  
ვიკარტულაბით**

ფედერალურ დონეზე რამდენიმე წლის მანძილზე ისმებოდა ზაქიოხი სიკვდილით დასჯის შესახებ თაობაზე. 1991 წელს საქართველო გახდა პირველი სახელმწიფო ყოფილ რესპუბლიკათა შორის, რომელმაც კონკრეტული ნაბიჯები გადადგა ამ მიმართულებით.

20 მარტს საქართველოს უზენაესმა საბჭომ გააუქმა უმაღლესი სასჯელი ეკონომიკურ დანაშაულებებზე (ს.ს.კ. მუხლები: 88, 89, 96-1, 189).

რამდენიმე თვეში 2 აგვისტოს მიღებულმა კანონმა გააუქმა სიკვდილით დასჯა კიდევ ორ დანაშაულზე: მობილიზაციისგან თავის არიდება და სამხედრო ტრანსპორტის გატაცება (მუხლი 242-2). ეს მუხლი განსაკუთრებით ნიშანდობლივია, რამდენადაც 1984 წელს საქართველოში 4 პიროვნება დაიხსნა ამ დანაშაულის გამო.

საქართველოს უზენაესი საბჭოს ეს ინიციატივა გამოკრულ იქნა საბჭოთა პარლამენტის მიერ და 1991 წლის ივლისში მათაც გაუქმეს უმაღლესი სასჯელი 5 სახის დანაშაულზე, მაგრამ ეს შესაძლებელი დროის სიმცირის გამო ვერ დაკანონდა რესპუბლიკების კანონმდებლობაში. 1991 წლის აგვისტოში სახელმწიფო გადატრიალებამ დაასრულა საბჭოთა კავშირის არსებობა და ახლად წარმოქმნილი რესპუბლიკები დამოუკიდებელი პოლიტიკის წარმოების წინაშე დააყენა.

**სასჯელის უმაღლესი  
ზომასა  
გამოცხადებულია  
მორატორიუმი**

პირველი ნაბიჯები სიკვდილით დასჯის გაუქმების საქმეში გადაიდგა ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დროს, რომელიც პირველად საბჭოთა რესპუბლიკათა შორის არჩეული იყო საერთო სახალხო არჩევნებში, პირდაპირი კენჭისყრის გზით. მოუხდავად ამისა, 1991 წლის დასასრულს დაიწყო შეიარაღებული კონფორტაცია და ზვიად გამსახურდია გადაყენებულ იქნა თავისი პოსტიდან. ძალაუფლება მმართველი სამხედრო საბჭოს ხელში გადავიდა.

იმავ წლის თებერვალში ეპისტი ინთარნიულ-ის დეკლარაცია იმყოფებოდა თბილისში, სადაც მის წევრებს განუცხადეს სამხედრო საბჭოს წარმომადგენლებმა, რომ ისინი იღებენ პასუხისმგებლობას მორატორიუმზე სიკვდილით დასჯისადმი დაკავშირებით ახალი სისხლის სამართლის კოდექსის შემოღებაზე.

**აღდა 1921 წლის  
კონსტიტუცია,  
სიკვდილით დასჯა  
გაუქმებულია სხვა  
დანაშაულობაზე**

სამხედრო საბჭომ აასრულა თავისი განზრახვა და 1992 წლის 21 თებერვლის დეკლარაციის საფუძველზე აღადგინა 1921 წლის კონსტიტუცია, რომლის მე-19 მუხლის თანახმად, საქართველოში გაუქმებულია სასჯელის უმაღლესი ზომა.

ერთ თვეში სამხედრო საბჭომ თავისი უფლებამოსილება გადასცა ახლად შექმნილ სახელმწიფო საბჭოს, რომლის თანამდებობაზე გახდა კონსტიტუციის ყოფილი შვიდი და გორბაჩოვის საგარეო საქმეთა მინისტრი ელვარდ შევარდნაძე.

3 აგვისტოს სახელმწიფო საბჭომ გააუქმა სასიკვდილო განაჩენი 14 სამხედრო დანაშაულზე.

**დრო ამ ნაბიჯების  
წინააღმდეგ ტრიალდება**

სამწუხაროდ, სიკვდილით დასჯის გაუქმება არ აისახა საქართველოს კანონმდებლობაში. 1992 წლის 11 ივნისს სახელმწიფო საბჭომ გამოსცა დეკრეტი, რომლის თანახმად, სათანადო ორგანოებს მიეცათ პიროვნება კანონმდებლობა შესაბამისობაში მოეყვანათ კონსტიტუციასთან. ამავე დეკრეტის თანახმად, საქართველოს მოქალაქე ტერიტორიაზე მოქმედებს ერთიანი საკანონმდებლო და სადამსჯელო სისტემა. მაგრამ გაუგებარია, როგორ მოხდა, რომ ამ დეკრეტის მიუხედავად, განხორციელდა 1992 წელს სიკვდილით დასჯის 9 პიროვნების მიმართ განაჩენის აღსრულება. მათ შორის ერთ-ერთის, ივანე ტომილიძის შესახებ, არაერთგვაროვნად განაცხადის მოუხდავად, ეპისტი ინთარნიულ-მა ვერ მიიღო კერძობა ინფორმაცია.

ამავე პერიოდში საქართველოში მდგომარეობა შევადგება, რისი მიზეზიც ხდება მძიმე კრიმინოგენული სიტუაცია და შეიარაღებული კონფლიქტი აფხაზეთში. ამ ვითარებამ რადიკალურად შეცვალა საზოგადოების დამოკიდებულება სიკვდილით დასჯის გაუქმების მიმართ.

სისხლის სამართლის კოდექსში კიდევ ორი სახის დანაშაულზე აღდა სიკვდილით დასჯა. გარდა ამისა, 1993 წლის ნოემბერში შევარდნაძის საგანგებო დეკრეტით შემოღებულ იქნა ადგილზე დახვეწა მართდობისთვის.

**შემოღებულია ახალი  
კანონები  
შესაქმებული  
სიკვდილით დასჯით**

თავისი ვიზიტის დროს ინგლისში 1993 ოქტომბერში საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარემ მინდა უგრეხელიდემ ეპისტი ინთარნიულ-თან საუბრისას განაცხადა: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 1960 წელს არის მიღებული, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში და ამიტომ იგი არ შეესაბამება 1921 წლის კონსტიტუციის ნორმებს. მოგვიანებით კიდევ ორი სახის დანაშაულზე იქნა შემოღებული სიკვდილით დასჯა და იმ დანაშაულების რიცხვმა, რომელიც სასჯელის უმაღლესი ზომის მიზნად, სულ 12-ს მიაღწია.

**ელვარდ შევარდნაძე  
გამოცხადდა  
ბრძანებულებას  
აღიშნა დახვეწის  
შესახებ**

1993 წელს საქართველოში საგანგებო ვითარება შეიქმნა, სექტემბრის ბოლოსთვის აფხაზეთმა თავისი კონსტიტუციის ქვეშ მთავრების აფხაზეთის თითქმის მთელი ტერიტორია. სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბდა დასავლეთ საქართველოში ყოფილი პრეზიდენტის დაბრუნებაში.

საქართველო ჩაება ხანმოკლე სამოქალაქო ომში, რასაც შედეგად მოჰყვა ბანდიტიზმი და მართდობა.

ამ პროცესის საწინააღმდეგოდ იქნა მიღებული 2 ნოემბრის ბრძანებულება მართდობა ადგილზე დახვეწის შესახებ. დადგენილების გამოხედიდან 5 დღის შემდეგ მოკლულ იქნა გამსახურდიას ორი შეიარაღებული მხარდამჭერი; ხოლო ზუგდიდში შინაგან საქმეთა მინისტრის, მიერ მმართველობისთვის ადგილზე დაიხვეწა 7 ადგილობრივი მკვიდრი.

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ თბილისის კომენდანტმა განაცხადა, რომ კომენდანტის საათის დარღვევის დროს პირადობის მოწმობის წარდგენაზე უარის თქმის შემდეგ ადგილზე დაიხვეწა "რამდენიმე" დამრღვევი.

მოუხდავად იმისა, რომ ეს დეკრეტი მიღებული იყო პოლიციისა და ჯარის მხრიდან შევიდობიანი და

სახელობის წინააღმდეგ არასასურველი ექსცესების თავიდან ასაცილებლად, ეპისტი ინთარნიულ-მა დაუფრთხილეს გამოთქვა თავისი შეშოთება. საქართველოს მიერ ხერთაშორისო ვაღდებულებების ამ უხეში დარღვევის გამო, ადამიანის უფრდამენტური უფლებებისა და თავისუფლების დაცვა, თვით საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების თანახმად, გარანტირებული უნდა იყოს საგანგებო მდგომარეობის პირობებშიც კი ყოველი ცალკეული მოქალაქისთვის.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით ევროსაბჭოს 1989 წლის 24 მაისის დეკრეტი, სადაც ხაზგასმულია, რომ მთავრობებმა უნდა აკრძალონ ყველა თვითნებური, არასამართლებრივი, უკანონო გასამართლებს მცდელობები და უზრუნველყონ ამ აკრძალვათა დამრღვევების კანონის შესაბამისად გასამართლება. კონსტიტუციონალური შემთხვევები, როგორცაა საომარი მდგომარეობა, შედაპოლიტიკური აშლილობა ან სხვა საგანგებო სიტუაციები, ვერაფრით შეშთხვევაში ვერ გამოიყენება ამგვარი არასამართლებრივი მოქმედების გასამართლებლად.

**დასკვნა**

ეპისტი ინთარნიულ-მა მიესალმება საქართველოს მოქმედებას სიკვდილით დასჯის გასაუქმებლად 1991 წელს, აგრეთვე 1992 წლის ზოგიერთი საკანონმდებლო აქტის მიღებას, მაგრამ უდიდეს შემოთებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მოგვიანებით არა თუ გაუქმა სიკვდილით დასჯა, არამედ ორი ახალი მუხლიც დაემატა, ხოლო დეკრეტს მართდობის ადგილზე დახვეწის შესახებ, სულ ცოტა, 9 ადამიანის სიკვდილი მოჰყვა.

**ეპისტი ინთარნიულ-  
აზრთხილას  
საქართველოს  
ხალისუფლებას**

შეარბილოს ყველა სასიკვდილო განაჩენი.  
გადაუდებლად მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა კონსტიტუციური დებულება სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ აისახოს საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

## რედაქციის კომენტარი

როგორც ვხედავთ, ეპისტი ინთარნიულ-ის ამ მოკლე ბიულეტენში საქართველოში, სიკვდილით დასჯის შესახებ, აშკარად ჩანს, რომ დღევანდელ საქართველოში ირველი საერთაშორისო სამართლის ნორმები, ხშირად ის აქტები და ხელშეკრულებები, რომლებსაც იგი ბოლო დროს, შეუერთდა. ეპისტი ინთარნიულ-მა არ არის ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც შემოთებას გამოთქვამს საქართველოში ადამიანის უფლებათა დარღვევის და, განსაკუთრებით, სიკვდილით დასჯის პატიმართა უფლებების ხელყოფის უპირავე უქტის გამო, რომ გადახედოთ ეპისტი ინთარნიულ-ის და სხვა გაუფრთხილნი საერთაშორისო ორგანიზაციების ირველებსა და რეკომენდაციებს, ადვილად დავრწმუნდებით, რომ ყველა რჩევა თუ შიოთება ეხება, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის და, მით უფრო, სასიკვდილო განაჩენის პირისპირ მდგომარე პატიმრის უფროსად უფლებებს - მისთვის სამართლიანი სასამართლოსა და დაცვის უფლების უზრუნველყოფას. ნებისმიერი ქვეყნის ელისუფლება ვაღდებულა საგანგებო უსადაო ჩაატაროს იმ პირის სასამართლო პროცესი, რომელსაც სასჯელის უმაღლესი ზომა ემუქრება.

სამწუხაროდ, საქართველოს დღევანდელი მართლმსაჯულებისგან ლიტონ სიტყვებზე რჩება როგორც საერთაშორისო, ასევე საქართველოს კანონმდებლობაში არსებული სავადდებულო ნორმები: სამართლიანი და ობიექტური სასამართლოს უფლება, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევა, საქმეში მონაწილე ბრალდებულისა და სხვა პირთაგან ჩვენების გამოძახების, მუქარის, ძალადობის ან სხვა უკანონო ზომების გამოყენების აკრძალვა (სსსკ მე-18-ე მუხლი) და ა.შ.

სრულად იგნორირებულია რიც შემთხვევებში სასჯელის უმაღლესი ზომით გათვალისწინებული ბრალდებით წარდგენილი ექვტიბინილის, განსაჯელის ან ბრალდებულის უფლება - ამის თვალსაზრისით მაგალითის წარმოადგენს "უ. გამსახურდიასა და მის მომხრეთა საქმის" აწ უკვე მსჯავრდებული სასამართლო პროცესი, სადაც 19-დან 16 განსაჯელის ბრალდება სასიკვდილო განაჩენს ითვალისწინებდა. როგორც ვიცით, პოლიტპატიმართა უმრავლესობას არ ჰყავდა სასურველი დამცველი, რიც შემთხვევაში განსაჯელს საერთოდ არ ჰყავდათ ადვოკატები და მათი დაცვითი სიტყვაც არავის უთქვამს. რად დროს თურდაც ამჟამად უკვე სიკვდილით დასჯის გეგმების დაცვის უფლების დარღვევის კონკრეტული ფაქტები - მისი დამცველი სასამართლო კამათის დროსაც კი არეკვდა სხდომათა დარბაზში, წარმოადგენდა თუ არა თავის დაცვის ქვეშ მყოფს და ჰქონდა თუ არა მისი დაცვის უფლება. ადვოკატის ასეთი გაურკვეველმა მდგომარეობამ თავი იჩინა იმულებით წარმოქმულ მის დაცვით სიტყვაში. ჩვენ შოგისმინეთ არსებული საქმის სამრალდებო დასკვნის მხოლოდ კრიტიკა, დამცველის ზოგადი ეჭვი და მოსარჩევები მისი "დაცვის ქვეშ" მყოფის ქმედებების შესახებ, მაგრამ კონკრეტული და განსაჯელთან შეთანხმებული, წინასწარ მომზადებული დაცვითი სიტყვა ადვოკატს არ წარმოუთქვამს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სასამართლო კოლეგიამ გეგმებისგან არასასურველი დამცველი მოახსია თავს. ადვოკატი, მხოლოდ დღევანდელ საქართველოში შეიძლება ჰქონდეს ადგილი ასეთ პრეცედენტს, რომ უმაღლესი სასჯელის მომდონებ პატიმარს უნდობლობა გამოცხადებულ ადვოკატს "იცავდეს" სასიკვდილო განაჩენისგან. აღარაფერს გამოიზოთ. სიკვდილით დასჯისთვის აქვდაციის უფლების დარღვევაზე.

თუ გადახედოთ უცხოელთა დასკვნებს, დავრწმუნდებით,

თველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში.

უზრუნველყოს სიკვდილით დასჯის მიმართ კანონის ყველა მოთხოვნის დაცვა, საკუთარი ნებისამებრ შერჩეულ ადვოკატთან შეუფრთხილული კონსტიტუციის ჩათვლით. აგრეთვე იმის გათვალისწინებით, რომ განსაჯელი უნდა განსამართლდეს კომპეტენტური სასამართლოს მიერ, სადაც გამოირიცხება სამართლებრივი დარღვევები პროცესის ყველა ცალკეულ ეტაპზე.

უზრუნველყოს სიკვდილით დასჯის უფლება აკრძალვის და შეწყნარების თხოვნის შესახებ.

გააუქმოს ყველა ოფიციალური ინსტიტუცია ადგილზე სიკვდილით დასჯის შესახებ და ამის საწინააღმდეგოდ უზრუნველყოს იმ პირთა საერთაშორისო კანონებთან შესატყვისობაში გასამართლება, ვინც ექვტიბინილია ამგვარ დანაშაულებებში.

გამოსცეს საჯარო განმარტებით ბრძანება იმის შესახებ, რომ ოფიციალურად აკრძალულია ადგილზე დახვეწის პრაქტიკა და ყველა ვინც განახორციელებს ამგვარ ქმედებას, დაიხვეწება კანონის შესაბამისად.

რომ საერთაშორისო სამართალმცავი ორგანიზაციები სერიოზულ შემოთებას გამოთქვან სწორედ იმ ფაქტის გამო, რომ სიკვდილით დასჯის პრაქტიკულად არა აქვს პეულაციის და გასაჩივრების უფლება - მათ შემოქმედებულ ფინანსდებო შევიდნენ პროკურორის ან უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და მათი მოადგილეების წინაშე, რათა ამ პირებმა ხელახედველობის წესით გადასინჯონ ან გააპროტესტონ კანონი ძალაში შესული განაჩენი.

ამ თანამდებობის პირებისთვის, რასაკერძოდაც, არ არის სავადდებულო დაადგინონ, რომ არსებული განაჩენი აუცილებლად არის გასაწიფრებული. ფაქტობრივად, სიკვდილით დასჯის პატიმარს მხოლოდ ერთი გზა აქვს - პატიება სთხოვოს ხელისუფლებას, მონაწილის თურდაც არანაწილი დანაშაული და, აქვდა, დადასტურებულია ცნოს თავისი ბრალი. ამ საბოლოო სიტყვა მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურს ეკუთვნის.

დღევანდელი მართლმსაჯულების პირობებში, სრულიად ზედმეტი ხდება "საქმის გარემოებათა სრული, ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევა". მაგალითად მთავრობისთვის "პრეზიდენტის საქმეში" მონაწილე ი. დოკვიძის ადვოკატის გ. მთენისის მიერ გამოქმენის ვერის

## უფლებების ზონა

ის სრულ უარყოფას; სასამართლო განხილვის დროს მოხმენილი დანაშაულის ჩადენის სხვა სერიოზული გერსიების სრულ იგნორირებას, მოქმეთა ჩვენების უფლებეუყოფას და ა.შ.

რაც უფრო მძიმეა დანაშაული, მით უფრო მეტი კომპეტენტურობა და პრინციპულობა მართებთ საგამომიხიებლო ორგანოებსაც და სასამართლოსაც - ჩვენს დღევანდელ მართლმსაჯულებაში. რაც უფრო მძიმე და რთულია დანაშაული, მით უფრო მეტი მიკროპიუბლობას და ტენდენციურობას იჩენენ სამართლმცავი ორგანოები წარმომადგენლები. უფრო მეტი კანონად იქცა პოლიტიკური ოპონენტების დაპატიმრება-გასამართლება უფრო და უფრო მძიმე ბრალდებებით - როგორც წესი, პოლიტპატიმართა "დანაშაულებებს" მხოლოდ სასჯელის უმაღლესი ზომის შემცველ მუხლებს უყენებენ.

უკვე აღარ ერიდებიან აშკარა პოლიტიკური ხასიათის ბრალდებების შეგარდებასაც - გახშირდა სსკ 65-ე მუხლის გამოყენება. პრეზიდენტის არაერთი მომხრე უკვე გასამართლდა საშობლოს დასკვნის, საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის რღვევის ხელშეწყობის და ა.შ. ბრალდებებით. მხადდება კიდევ ერთი დიდი საქმე - 1993 წლის შემოღობაზე სახელმწიფო გადატრიალების მცდელობისა.

კიდევ ერთი ტრადიციული დამცვიდრად ბოლდროინდელ საქართველოში - რაც უფრო მძიმეა ბრალდება, მით უფრო სერიოზულად "მუშავდება" ექვტიბინილი, განსაჯელი, ბრალდებულ და მსჯავრდებულს კი, სამართალმცავი სტრუქტურების ამგვარი გარდაც ხახევა - თუ ადრე პოლიტპატიმრების "აღარებებს", გარკვეული დრო სჭირდებოდა, ამჟამად უმძიმეს დანაშაულში "შიოღებულ" პოლიტიკური ოპონენტები დაპატიმრებიდან სულ რამდენიმე საათში იძვეებიან მიბიბისთვის ესოდენ ფახეულ აღარებით ჩვენებებს, რომლებს შემდგომ სასიკვდილო განაჩენის საფუძველს და მყარ და საგრდენს წარმოადგენენ.

ამის თვალსაზრისით მაგალითად შეიძლება მივიხმობთ 21 ივნისს დაპატიმრებულ ზვიად და კობა ძიძგურების, ვუწერეთლის, ზაზა დანელიას და ვია ყორბესაშვილის მიმართ გამოყენებული ძალიანძიერი მეთოდებით მოპოვებული სასწრაფო სტეკევიზიო "აღარებები".

**1995 წლის 28 ივლისს პარლამენტის საგანგებო ხესიამ ხმა მისცა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-13 მუხლს, რომელიც გაურკვეველი ვადით აკანონებს სიკვდილით დასჯას, როგორც სასჯელის უმაღლესი ზომას.**



ცნობილი ქართველი ადვოკატი, საქართველოს დამსახურებული იური-სტი გურამ უგრეხელიძე (1909-1994) მთელი თავისი პროფესიული მო-ღვაწეობის განმავლობაში ემსახურებოდა დაცვით საქმეს. იგი ცნობილია იმით, რომ სპეციალიზებული იყო გასაკუთრებით მძიმე სისხლის სამარ-თლის დანაშაულებებზე, მისი წყალობით გამოვლინდა მრავალი საგამო-მძიებლო და სასამართლო შეცდომა, მრავალ მსჯავრდებულს შეუნარჩუნ-და სიცოცხლე ან შეუმსუბუქდა სასჯელი. გურამ უგრეხელიძე წლების მანძილზე იყო ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრი და იღვწოდა დაცვის უფლებათა რეალიზაციისთვის, აგრეთვე ეწეოდა პუბლიცისტურ საქმიანობას.

გთავაზობთ ფრაგმენტს მისი წერილიდან სიკვდილით დასჯის შესახებ, რომელიც გამოქვეყნებულია 1989 წლის 1 თებერვალს გაზეთში "ქუთაი-სი".

# კუანურობის ზნობრივი კალა

გურამ უგრეხელიძე

დამწავის სიკვდილით დასჯის აქ-ტი გვესახება სამი სტადია: სახელ-მწიფოს უმადლეო ორგანიზაციის დამტკ-იცებული კანონი, სასამართლოსგან გამ-ოტანული განაჩენი დამწავის სიკვდი-ლით დასჯის შესახებ და ძალაში შესუ-ლი განაჩენის აღსრულება. აღსრულე-ლი განაჩენის აღსრულება, რომ მსა-ჯულეთთან ერთად ის ხელმძღვანელობს კანონით დამწავე პირის მიმართ, რაც მას თანამდებობრივად ევალება; ხოლო კანონმდებელი მიიჩნევს, რომ სიკვდილით დასჯის დაწესება არის ხალხის ნება, სახელმწიფო აქტივი გამოხატული. ამის მიხედვით არავის სურს დაიჭერს, რომ ის ადამიანის სიცოცხლის მოსპობის მო-ნაწილეა. მოსამართლეს რომ ევალებ-ბოდავს თავისივე სასიკვდილო განაჩენის აღსრულება, მაშინ ის ასეთ განაჩენს არ გამოიტანდა, არც სასიკვდილო გან-აჩენის აღსრულებული გამოიტანდა ასეთ განაჩენს, რომელიც თვით უნდა მოეცინა სისრულეში.

რაც მას თამამს ხდის საკუთარი გა-დაწყვეტილების მიღებისას. ასეთი სითა-მაზე კი ყოველთვის არ ამართლებს და მას საფალლო შედეგად შევაჯავროთ, რისი გამოწვევაც შეუძლებელი ხედე-ბა. სისრულეში მოყვანილი სასიკვდილო განაჩენის შემდეგ, რეაბილიტაცია ვე-რაფერი ნუგეშია, დიდად სავალალოა, რომ ჩვენში ჯერ დაფარულია და არ ქვეყნდება ხალხის გასაცნობად სასამარ-თლოსგან დაშვებული ტრაგიკული შე-ცდომები. ასეთი შეცდომები კი საკმაოდ იყო და არავითარი გარანტია არ არის, რომ ისინი არ განმეორდება, ან რა ზომით განმეორდება. ეხვევ ერთი არ-გუმენტია იმის წინააღმდეგ, რომ სიკე-დილით დასჯა: დატოვებული იქნეს სა-სჯელთა საბაზი.

მისა. ასე წლის შემდეგ იგივე აზრი გამიქონა უდიდესმა საზოგადო მოღვაწე ვიქტორ პოგოზო. მისი თქმით, გილიო-ტინა, როგორც სიკვდილით დასჯის ია-რალი და სიმბოლო, უნდა განდევნილი იქნეს არა მარტო საზოგადოებიდან და სხვა ცივილიზებული ერებიდან, არამედ ევლურ კაცობაში ქვეყნებიდანაც კი, მაგრამ თუ დავისაგან ნაბრძანებია, რომ მან ცოფვილ მიწაზე მაინც უნდა ია-რნებოს, მაშინ მისი ადგილია რუსეთში, სადაც მას მიიღებენ ხელგაშლილი და გულში ჩახუტებენ.

რაც არც მარტო და არც პოგოზოს ეს აზრი არ გამოეთქვამა ორატორული გაფიცების დროს. ორთავემ ნაიჭიკადი, წერილობითი ნაშრომის სახით, დატოვ-და შესივარს მსოფლიო საზოგადოე-ბრივ აზრს.

ასევე გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა სიკვდილით დასჯას ილია ჭავჭავაძე; დღ-ეს უკვე წინადა ილია მართლად წო-დებული. ილიას ქერივი, მისი თანამ-თაზრე, მაღალი ზნობისა და განათლე-ების ადამიანი, ოღონდ გურამიშვილი, შუამდგომლობდა მეფის წინაშე, რომ ილიას მკვლელობა არ დაესაჯათ სიკვი-ლით და ამით ეცათ პატივი ილიას უფლებრივი მრწამსისათვის. ამ შემო-თავაზების გამო, დიდმა საზოგადო მო-ღვაწემ, გამომცემლობა "პოსტინდისის" ხელმძღვანელმა, ტოლსტოის მეგობარმა გორბუნიოვ-პოსადოვმა აღიარებულ ავტ-ორიტეტულ ჟურნალში "რუსიკიე ვედ-ომოსტის" გამოქვეყნდა წერილი, რომელ-შიც ნათქვამია: "როგორც მთელ რუს-ეთში გამეფებულია ზნობრივი სინდელ-ი, უკრეთი და ყოველ ნაბიჯზე გაისის-მობა, ჩამოხარნი, დახვრეტე და ღაბის სასოწარკვეთილების მორევენი ჩაიხრ-ნოთ, ამ დროს საქართველოს საუკეთესო შეილის ქერივი, რომელსაც საყვარელი მეუღლე ბარბაროსულად მოუკლეს და თვითონაც შეცურად დაჭრეს, მთავრო-ბას ევედრება, სიკვდილით ნუ დასჯი-თ მკვლელობს..."

სრულიად უარყოფილია სასამართლო-ის დარგში დიდ მოაზროვნეთა ნაღვაწი. უფლებებულები იყო სასამართლის ფი-ლოსოფია, სასამართლის ენციკლოპედია და საერთოდ სამართლის იდეა. არ-სებობდა მხოლოდ ერთი შეუვალი დე-ბულება - სამართალი არის კლასთა ბატონობის იარაღი და იგი იყენებს მას ისე, როგორც ეს ესაჭიროება სახე-ლმწიფოს მოცემულ კონკრეტულ შემ-თხვევაში.

სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ ილა-შქრებდა თვით რობესპიერი, რომელიც ისტორიაში შეივდა როგორც სისხლიანი დიქტატორი.

რობესპიერმა დასაბუთებული სიტყვა წარმოიტყა დაშუქებული კრების წინ-აშუ, რითაც სასტიკად გაილაშქრა სიკე-დილით დასჯის წინააღმდეგ არა მარტო საზოგადოებრივი, არამედ მთელ ქვეყანაზე, გამონაკლისად მიიჩნია მხოლოდ რუსე-თის იმპერია, რომელიც, მისი თქმით, ყოველთვის მორჩილი იყო დესპოტიზ-მს.

ასევე უნდა დავსძინოთ, რომ მსჯავრ-დებულის სიკვდილით დასჯა ხდება გარ-რკვეული პირის მიერ, რომელსაც ჯა-ლათის ვეხბობი. მის გარეშე განაჩენის აღსრულება არ ხდება და, ცხადია, სა-ჭიროა ასეთი პირის მოძებნა და არ-ოფიციასზე მისი შეგუება. ამგვარად, თუ ერთი პირი ფიზიკურად კვდება, მისი ჯალათი მორალურად ნადგურდება და სცილდება ზნობრივ საქართოს. მისთვის უცხოა ბავშვების აღზრდაზე ზრუნვა და მათ მიმართ ადამიანური სიყვარულის გამოვლენა. ამგვარად, სიკვდილით დას-ჯული იწვევს როგორც მოკვლეულს, ისე ჯალათის სიკვდილს საზოგადოე-ბისთვის და შეიძლება შეორიხეთის კიდევ უფრო მეტად ვეჭვობ, ამაღაც უნდა დავაბრკოლოთ სასჯელის ასეთი სახის დაწესება.

როცა ომში ან რევოლუციის დროს მკვლელობას სჩადიან, იქ საკუთარი სინ-დლის ხმა არის შეგუებული მოქმედებისა, რითაც იცავ შენი ხალხის ან კლასის ინტერესებს. ამ აქტში სამართლიანო-ბის საკუთარი შეგნება შეესატყვისება ერთნულ, საზოგადოებრივ ან კლასობ-რივ მართლმდებობას, მის მიზნებსა და სურვილებს. როცა შენი მოქმედება ეთ-ასმება შენსავე რწმენას, იმის შესაფერი ობიექტა, დაკავლება ან წაქეზება, თა-ნხმობით აღიქმება. ამის გარეშე არავის სურს ადამიანის სიკვდილით დასჯის აქ-ტის მონაწილის პასუხისმგებლობა იკი-ნოს.

სისხლის გუბეში ვარდება... იგივე კადრები გადმოსცა მოსკოვ-ის ტელეკომპანია "ნტე".

ადამიანის უფლებათა და კანონიერების დაცვის ყაზახეთ-აქტივის ბიურომ მიმართა ყაზახეთის გენერალური პრო-კურორის და წერილით, რომელშიც ეს ფაქტი შეფასებულია როგორც "მილიონობით მოქალაქის მკვლელობასთან თანახ-არობის სრულად ამორალური მტველი". რესპუბლიკის პროკურატურის პასუხში ნათქვამია, რომ კანონის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

# ბელაევიზია ანენა სიკვდილისჯილთა დახვრატა

ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა თავის ერთ-ერთ გამოსვლაში გამოთქვა მისაზრება იმის შესახებ, რომ სასიკვდილო განაჩენის საჯარი აღსრულება, შესაძლოა, პედაგოგიურ ფუნქტს ასხდენდეს. არც ისე ცოტა ხნის შემდეგ, როგორც ჩანს, მისი სურვილის თანახმად, ყაზახეთის სა-ხელმწიფო და კომერციული ტელეარხებით ნაჩვენები იქნა სასიკვდილო განაჩენის აღსრულების დოკუმენტური კადრები. მაყურებელს შეეძლო საკუთარი თვალით ენახა, როგორ გამოეკეთათ სიკვდილისჯილთა პატიმარი საჭიდან, შეეკავთ გისოსებიდან დერეფანში და კვანძი სროლის შემდეგ მოკლული

სისხლის გუბეში ვარდება... იგივე კადრები გადმოსცა მოსკოვ-ის ტელეკომპანია "ნტე".

ადამიანის უფლებათა და კანონიერების დაცვის ყაზახეთ-აქტივის ბიურომ მიმართა ყაზახეთის გენერალური პრო-კურორის და წერილით, რომელშიც ეს ფაქტი შეფასებულია როგორც "მილიონობით მოქალაქის მკვლელობასთან თანახ-არობის სრულად ამორალური მტველი". რესპუბლიკის პროკურატურის პასუხში ნათქვამია, რომ კანონის დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

# რე სქირს გიორგი ყორბასაშვილი

ზვიად ძიძიგურისა და მასთან ერთად დაპატიმრებულ პირთა მიმართ ინტერესი არ ცხრება. ამაზე მოწმობს თუნდაც პარლამენტარ ნესტან კირთაძისა და გენერალური მოადგილის მიერ ჩატარებულ პრესკონფერენციაზე გაკეთებული განცხადებები. საქართველოს პელსინკის კავშირის ადამიანის უფლებათა კომისიამ ამ პრესკონფერენციის შემდეგ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ ნ. კირთაძე და ა. ბაღვაშვილი ცდილობენ საზოგადოებრივი აზრის წინააღმდეგ შექმნას ამ საქმის გარშემო, თანავე მომავალი პოლიტიკური პროცესის სცენარს, რომელიც, საფიქრალია, აისახება საბრალდებო დასკვნაში. კომისია მიიჩნევს, რომ მსგავსი იდეებში წარმოადგენს უდანაშაულობის პრეზუმფციის უხეშ დარღვევას.

განცხადებაში აგრეთვე მითითებულია, რომ გრძელდება პატიმართა დაცვისა და სხვა ძირითადი უფლებების დარღვევა. პოლიტიკურმა დიდხანს არ ახვედრებენ მათ ადვოკატებს, ორი პატიმარი - ვაჟა წერეთელი და ზაზა დანელია კვლავ იჭყოლებან შინაგან საქმეთა სამინისტროს იზოლაციონში (თავად სამინისტროს შერობის სარდაფში), რაც კანონის დარღვევას წარმოადგენს, კინაღამ ბრალდების საქმე უკვე რახანა გადაეცა რესპუბლიკის პროკურატურას და, შესაბამისად, პატიმრები უნდა გადაიყვანონ ამ უწყების დაქვემდებარებაში მყოფ სამხეობო იზოლაციონში.

ამასთან, მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაში მყოფი გიორგი ყორბასაშვილის შესახებ (როგორც ცნობილია, დაკითხვისას ადგილი ჰქონდა მასზე ფიზიკურ ზემოქმედებას და მან ვეზები გადაიჭრა) თითქმის ორი კვირის განმავლობაში ვაღბ ინფორმაციას აწვდიდნენ მის ახლობლებს. უებნებოდნენ, რომ იგი გადაეცე-ანილია ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში. სინამდვილეში, კომისიის ხელთ არსებული მონაცემების თანახმად, იგი გადაიყვანეს ჯერ №1 საგამომძიებლო იზოლაციონის გამანაწილებელში (საკანი 32), სადაც უმძიმეს პირობებში ჰყოლიო-კანონით გათვალისწინებულ ვადაზე მეტ ხანს. საავადმყოფოში იგი გადაყვანილი იქნა მხოლოდ 27 ივლისს საღამოს, ან 28 ივლისს დღით. იმავე დღეს გაა ყორბასაშვილმა თავის ოჯახის წევრებს გამოუგზავნა გასისხლიანებული ტანსაცმელი და წერილი, რომელშიც ნათქვამია, რომ მას ესაჭიროება სამედიცინო დახმარება.

კომისია გამოთქვამს პროტესტს და მიმართავს საერთაშორისო ორგანიზაციებს თხოვნით - აიძულონ საქართველოში არსებული რეჟიმი, დაემორჩილოს მის მიერ აღიარებულ საერთაშორისო ნორმებს.

# საზოგადოება რეპრესიების წინააღმდეგ

კონსტანტინე გამსახურდიას აჭარის სამხარეთ ორგანიზაცია აცხადებს მტკიცე პროტესტს ა.წ. 7 ივნისს, ქ. თბილისში საქართველოს რესპუბლიკის დეფნილი უზენაესი საბჭოს დებუტატის, სამტრედიის რაიონის პრეფექტის - ზვიად ძიძიგურის, მისი ძმის - კობა ძიძიგურის, სიძის - ვაჟა წერეთლის, აგრეთვე ზაზა დანელიასა და გაა ყორბასაშვილის დაპატიმრების გამო და ამ ფაქტს აფასებს როგორც საბჭოურ-დემოკრატიული რეჟიმის რეანაციათის შორივ ცდას.

მაშინ, როდესაც პროკურატურა და სასამართლო ხელისუფლება სახელმწიფოს მეთაურის აპარატის დანაშაულს წარმოადგენს, ხოლო ე. შევარდნაძემ თავის ტრადიციულ რადიონეტრევიუმში სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლი ტერიორისტები უწოდა, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა "შესაშური ობიექტურობით" გამოიძიებენ ადნაშულ ფაქტს თავად იარაღითა და სისხლით მოსული კრიმინალური ხელისუფლება.

მომხდარ ფაქტს ადვილად როგორც შევარდნაძის მრავალწლიანი რეპრესიული პოლიტიკის შედეგს და მიზეზთაგან პოლიტიკატიმრების დაუფუნებელივ განთავი-სუფლებას.

# კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოების აჭარის სამხარეთ ორგანიზაცია

ამ პროტესტს უერთდება კონსტანტინე გამსახურდიას სა-ზოგადოების აბაშის სამხარეთ ორგანიზაცია

# აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატთა პროტესტი

წევნ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები, ვაცხადებთ პროტესტს საქართველოს რესპუბლიკის დეფნილი უზენაესი საბჭოს დებუტატის, სამტრედიის რაიონის დეფნილი პრეფექტის - ზვიად ძიძიგურის, კობა ძიძიგურის, ვაჟა წერეთლის, ზაზა დანელიასა და გაა ყორბასაშვილის დაპატიმრების გამო და ევროპით ხელისუფლების მხრიდან განსხვავებულად მიაზროვნეთა მიმართ ბოლო პერიოდში განხორციელებული პოლიტიკური ანგარიშსწორების ფაქტებს.

გ. ანთაძე, ზ. ჩხეიძე, ო. ცანავა

# დოკვაიის და გელგახისანის გელო რუსეთში აღელვებთ

ორაკლი დოკვაიის და პეტრე გელ-გახისანის მიმართ გამოტყობილი სასიკე-დილო განაჩენის გამო ე. შევარდნაძეს 17 ივლისს წერილით მიმართა რუსეთის ადამიანის უფლებათა ცენტრის დირექ-ტორმა ლ. მიჩინოვმა. ეს ცენტრი აე-რითანებს რუსეთის ათ ავტორიტეტულ სამართალდაცვე ორგანიზაციას, მათ შო-რის - მოსკოვის პელსინკის ჯგუფს, რუსეთის ჯარისკაცთა დედების კომი-ტეტს, ფსიქიატრთა დამოუკიდებელ ასო-ციაციას, ჯგუფს "მოდრობა საზღვრებს გარეშე", პენიტენციარული დაწესებუ-ებების მუშურეთა საზოგადოებას და სხვ. ცენტრის საბჭოს წევრები არიან ს. კოვალოვი, ე. ბონერი, გიორგივი, ე. ამეტისტოვი და სხვა ცნობილი პიროვნ-ებები.

წერილით ნათქვამია, რომ "ა. დო-კვაიის და პ. გელგახისანის სასამართლო პროცესზე ადამიანის უფლებებისა და სასამართლო წესების უზენაესი დამცველები უნდა იყვნენ და მათ უნდა დაეხმებინათ სასამართლო პროცესში ადამიანის უფლებებისა და სასამართლო წესების დაცვის მიზნით. ადამიანის უფ-ლებათა დარღვევები, რაც თქვენს რეს-პუბლიკის საზღვრებიდან მომხრებთან ადამიანთა - საზოგადოებრივ აზრს."

# პროკურატურა პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ

24 ივლისს პარლამენტის შენობაში დეპუტატმა ნ. კირთაძემ და გენერალური პროკურორის მოადგილემ ა. ბაღვაშვილმა ჩაატარეს პრესკონფერენცია. როგორც ნ. კირთაძემ აღნიშნა, დამსწრე ჟურნალისტებს, პრესკონფერენციის ინიციატორი თავად გახლდათ, ხოლო ა. ბაღვაშვილი მოიწვია, რათა მას ფაქტებით განუმარტებინა დეპუტატის მოსახრებები თანამედროვე პოლიტიკური სიტუაციის შესახებ. მან გამოყო საკითხების სამი ბლოკი, რომელთა შესახებაც აპირებდა საუბარს: ნარკობანია, ტერორიზმი და საპარლამენტო ოპოზიციის კავშირი ტერორისტებთან.

იღმა შემდეგნაირად გაშალა ეს თემა: "მიმდინარეობს ტერორი ძალადუფლების ხელში ჩასაგდებად, ამის საწყისი არის 1990 წლის ბოლი, როდესაც ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება დაადგა თავისი ქვეყნისა და ხალხის ეთნიკური მთლიანობისა და ერთობის ცნობიერების დარღვევის გზას, თავისივე უსუსურობისა და არაკომპეტენტურობის გამო. ხალხმა მათ ხმა მისცა, რათა ყოველივე კონსტიტუციის და ადამიანის უფლებათა დაცვის გაზრდა. ამის ნაცვლად მან განახორციელა ჯგუფების ურთიერთწაყიდების პოლიტიკა. შეიარაღებულ პირთა განხორციელებისა და ნეიტრალიზაციის ნაცვლად, ხალხს მოუწოდებდნენ დაეცათ ხელისუფლება. მას თუ მცა ჰყოფდა აპარატი, მაგრამ არ გააჩნდა შესაძლებლობა დაცვა თავისი ხალხი. სამაგიეროდ, გარკვეული პირები აპარატებდნენ კრიმინალებს, რათა ერთმანეთს შეეჯახებოდნენ. მაშინ შეიქმნა უკანონო შეიარაღებული ჯგუფები.

შემდეგი ეტაპია 1992-93 წლები, რომელ კანონებზეც დაპირები, როდესაც საქმეში ბომბი და ტყევა ჩაერგვა? შეიძლება კანონებების აღსადგენად საკუთარი ქალაქების წერგვა? ...  
ბ-ნ ა. ბაღვაშვილის გაფანტვები

დააკავეს კორკოლიანის დასთან ერთად, ძიძიგურის ავთუქებს უნდა გამოეყენებინათ, ქალის... - და ამგვარად საუბარი პრესკონფერენციის მესამე საკითხზე გადავიდა.  
ჟურნალისტებს აცნობეს, რომ ამასთან დაკავშირებით არსებობს პროკურატურის 9 გვერდიანი განცხადება, მაგრამ იგი დამსწრეთ არ გადაცენს, მხოლოდ შორიდან დაანახევს... იმ საბაბით, რომ მალე პრესაში გამოქვეყნდება. გარკვეულ მსოფლიო, რომ თ.კორკოლიანისა და ი.წერეთლის მიმართ მიმდინარეობს ძიება.  
შეკითხვაზე, რას გულისხმობს ნ. კირთაძე მესამე დარტყმაში - "ძიძიგურის ჯგუფს" ხომ არა, მან უპასუხა, რომ კონკრეტულად ამასაც, მაგრამ მთლიანად ტენდენციასაც, რაც გამოხატება იგივე კოორდინაციის მოქმედებებში, თუნდაც ბ-ნ ჯაბას განსხვავებულ აზრში და დასძინა, რომ სოციური პარლამენტარი თითქოს არჩევნების მომხრეა, მაგრამ ფარულად თავისი მოქმედებით ბლოკირებას უკეთებს მას.

ჩაგვას და სხვათა, საქმეები, შევაჯავრებთ, გაერთიანდეს ჯერ კიდევ მიწაში უყოფს, სხვა საქმეებთან ერთად...  
ჟურნალისტის შეკითხვაზე, ხომ არ არის დასაშვები, რომ ტერორისტული ორგანიზაცია "აღგეთის მგლები" თავად ხელისუფლების მიერ იყოს შექმნილი, ბაღვაშვილმა უპასუხა, რომ ეს გამორიცხვულია, "რადგან ხელისუფლებას ამაჟამად არ შესწევს საამისო უნარი და შესაძლებლობები..."  
კითხვაზე, თუ რას იტყვის იგი 15 გაუხსენებლ მკვლელობის შესახებ, ა. ბაღვაშვილმა უპასუხა, რომ აქტი ინფორმაციები... ყველა საქმე ბოლომდე მიყვანილი, მაგრამ წელიწადნახევარი კიდევ დასტურდება უტყვარი მტკიცებულებების მოსაპოვებლად... პროკურატურამ 5 ივლისს მეთაურის წინაშე დასვა საკითხი საგანგებო ჯგუფის დაფინანსების შესახებ, მაგრამ ჯერ თანხები არ ჩანს...  
პრესკონფერენციის ლოგიკიდან გამომდინარე, ბუნებრივად გაჩნდა ინტერესი: ვინაა მეთექვსმეტე? კითხვა, საწუხაროდ, უპასუხოდ დარჩა.

პარლამენტარმა გააკეთა მოკლე დეკლარაციული შესავალი და შემდეგ ისაუბრა საქართველოში ნარკობანიის აუცილებლობის შესახებ. მან აღნიშნა, რომ ბოლო 6 თვის განმავლობაში ამ ბრალდებით მხოლოდ 52 კაცია გასამართლებული, ისიც მომხმარებლები, ხოლო რეალისტურად დაუსჯელობი არიან. ყველაფრის ცნობილია, რომ რეალობის ცენტრი არის ცხინვალი, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება ვერ აკონტროლებს, იქიდან კი შემოდის რაკეტა-უფრესი და სხვები. ამ უსუფთაო ბიზნესში ჩართულია მთელი მოსახლეობა დიდან-პატარა რიანად.

შეიძლება კანონებების აღსადგენად საკუთარი ქალაქების წერგვა? ...  
ბ-ნ ა. ბაღვაშვილის გაფანტვები

